ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 100

ქალაქი ქუთაისი 29 აგვისტო 2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის ინფორმაცია გაწეული მუშაობის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28–ე მუხლის მე-3 პუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და 132-ე მუხლის საფუძველზე:

**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ინფორმაცია მიმდინარე მოწვევის პერიოდში გაწეული მუშაობის თაობაზე.

(საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
ინფორმაცია გაწეული მუშაობის თაობაზე
წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2018 წლის 29 აგვისტოს
N 100 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის ინფორმაცია გაწეული მუშაობის
შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია უზრუნველყოფს საკრებულოს წევრთა, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს დებულების მოთხოვნათა დაცვას.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ შეისწავლა საკრებულოს წევრის სტატუსთან საკრებულოს წევრის თანამდებობრივი და სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის საკითხები, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით. თანამდებობის პირებს განემარტათ და მიეცათ მითითება შესაძლო თანამდებობრივი შეუთავსებლობის შესახებ, შესაბამისად, საკრებულოში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 39-ე და 42-ე მუხლებით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობის, შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ, აგრეთვე შეისწავლა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების რეგისტრაციისათვის, ფრაქციებში განხორციელებული ცვლილების, ფრაქციის გაუქმების, ფრაქციის შემადგენლობიდან წევრის გასვლის ფაქტები, თანმდევი დოკუმენტაცია და მოამზადა შესაბამისი დასკვნები.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია აქტიურად მონაწილეობს საკრებულოში შემოსული პროექტების შემუშავებაში და განხილვაში, ამზადებს დასკვნებს და შემდგომში მიღების მიზნით გადასცემს შესაბამის ორგანოებს.

ჩაშლილი ან გადადებული არ ყოფილა იურიდიულ საკითხთა კომისიის არცერთი სხდომა. იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის ფორმა არ არის მხოლოდ შემფასებლობითი, საკითხის დადებითად ან უარყოფითად შეფასების შაბლონის ნაცვლად, იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა აღწერილობითი, სამოტივაციო, სარეზოლუციო და დადგენილებითი ნაწილებისგან შედგება.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ განიხილა საკრებულოს დადგენილების პროექტები, მერიის სტრუქტურული ერთეულების, სამსახურების დებულებებისა და ბეჭდის ნიმუშის დამტკიცების შესახებ და მოამზადა შესაბამისი დასკვნები და შენიშვნები ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. კომისიის მიერ წარდგენილი ყველა შენიშვნა (ტექნიკური და სამართლებრივი სახის) გაზიარებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის როგორც წარმომადგენლობითი, ასევე აღმასრულებელი ორგანოს მიერ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია აქტიურად არის ჩაბმული საკრებულოს სამუშაო პროცესში, ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით ამზადებს შესაბამის დასკვნებსა და შენიშვნებს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, 2017 წლის დეკემბრის თვიდან დღემდე, მოწვეული და ჩატარებული იქნა იურიდიულ საკითხთა კომისიის 15 (თხუთმეტი) სხდომა, განხილულია 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) საკითხი, დეტალურად იქნა განხილული როგორც ადმინისტრაციულ - სამართლებრივი, ასევე ნორმატიულ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივი მხარე, მათი შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობის ნორმებთან, ასევე პროცედურული მხარე, წარმოდგენისა და განხილვის ვადები. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა მიღებული სამართლებრივი აქტების შესრულების მიმდინარეობას და კონტროლს.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ განიხილა ფიზიკური პირების განცხადებები და ზეპირი მომართვები, მოქალაქეებს ამომწურავად ეცნობათ განცხადებაში მოთხოვნილ საკითხებთან დაკავშირებით პასუხები. უმეტესად არის საჭიროება და საფუძველი იმისა, რომ მოქალაქე გადამისამართდეს უფლებამოსილ ორგანოში, კომისიამ მისცა მათ სწორი მიმართულებები. შესაბამისად, განმცხადებელთათვის წერილის უკან დაბრუნება, საკითხის განხილვაზე

კომისიის არაუფლებამოსილების საფუძველზე მითითებით არ მომხდარა. კომისია ზეპირ იურიდიულ კონსულტაციას უწევს და სწორ მიმართულებას აძლევს მოქალაქეებს, მათთვის პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით.

იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ სისტემატურად ხდებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მონიტორინგი და ანგარიშგება. აგრეთვე, მოსმენილ იქნა თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ანგარიშები.

**იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ** საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ იმსჯელა საკრებულოში გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე, კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი აღნიშნული საბჭოს შექმას. საფუძველი საკრებულოში ამ საბჭოს შექმნისა, საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი რიგი ცვლილებები გახლდათ. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად. იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტები, რის შედეგადაც ცვლილება შევიდა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილებაში, კერძოდ, დაემატა ახალი თავი, რომლითაც განისაზღვრა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება. იურიდიულ საკითხთა კომისიამ აქტიურად იმუშავა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებაზე, რომელიც შემდგომში, კანონით განსაზღვრული წესით, დამტკიცებულ იქნა საკრებულოს მიერ.

გენდერული თანასწორობის საბჭო ნაყოფიერად მუშაობს მისი შემადგენლობის არჩევის დღიდან, მუნიციპალეტეტს უკვე აქვს გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტი და გენდერული სამოქმედო გეგმა. მოგახსენებთ იმასაც, რომ თავად გახლავართ ამ საბჭოს აქტიური წევრი და ჩართული ვარ საბჭოს სამუშაო პროცესში.

კომისიამ იმსჯელა კულტურულ და სპორტულ ა(ა)იპებში დაწესებული სწავლის გადასახადის გაუქმების საკითხთან დაკავშირებით და შეიმუშავა დასკვნა კანონშეუსაბამობის შესახებ, რაც საკრებულოს წევრთა უმრავლესობით გაზიარებულ იქნა და აღმასრულებლის მხარდაჭერით, სრულად იქნა გაუქმებული კულტურულ და სპორტულ ა(ა)იპებში დაწესებული სწავლის გადასახადი.

კომისიამ თავისი კომპენტენციის ფარგლებში განიხილა და მონაწილეობა მიიღო შემდეგი ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებაში:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორების“ დაფუძნების თაობაზე;
3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ დაფუძნების თაობაზე;
4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმის შემუშავების თაობაზე;
5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, კახაბერ ბოჭორიშვილის განცხადების განხილვის თაობაზე;
6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გენდერული საბჭოს შექმნის თაობაზე;
7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – მწვანეების“ შექმნის ცნობად მიღების შესახებ;
8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ პერსონალურ შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილების ცნობად მიღების შესახებ;

9. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

10. ქალაქ ქუთისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ;

11. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის წერილის ცნობად მიღების თაობაზე;

12. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიეტეტის 2018 წლის ბიუჯეტის“ პროექტისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შესახებ;

13. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

14. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

15. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

16. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“ თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

17. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

18. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მომსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

19. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მომსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

20. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, გიორგი ჭიღვარიასათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

21. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „ქალაქ ქუთაისის მერიის მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლის“, „ქუთაისის ტაკვონდოს სპორტული კლუბისა“ და „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ რეორგანიზაციის (შერწყმის) განხორციელებაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, გიორგი ჭიღვარიასათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

22. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

23. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებისა და ბეჭდის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

24. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის დებულებისა და ბეჭდის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

25. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულებისა და ბეჭდის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

26. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის დებულებისა და ბეჭდის ნიმუშის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

27. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულებისა და ბეჭდის ნიმუშის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

28. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულებისა და ბეჭდის ნიმუშის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

29. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის დებულებისა და ბეჭდის ნიმუშის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

30. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამხედრო სამსახურის დებულებისა და ბეჭდის ნიმუშის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

31. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულებისა და ბეჭდის ნიმუშის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

32. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

33. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: „ქალაქ ქუთაისის სამეფო კომპლექსი ოქროს ჩარდახისა" და „ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის" რეორგანიზაციის /შერწყმის/ განხორციელების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ჭიღვარიასათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

34. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: ,,ქუთაისის ბოტანიკური ბაღი-მედეასა" და ,,ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების" რეორგანიზაციის (შერწყმის) განხორციელებაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, გიორგი ჭიღვარიასათვის თანხმობის მიცემის შესახებ";

35. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

36. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის" დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 18 იანვრის N241 განკარგულების მე-2 მუხლის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

37. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ;

38. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საკალათბურთო კლუბი ქუთაისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით,

უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

39. გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის საკითხებზე საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად ევროკომისიიდან გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ჭიღვარიასათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

40. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამა „კორპუსის" განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ;

41. „კატასტროფების რისკების მართვის შესაძლებლობების განვითარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ქალაქებში" პროექტის ფარგლებში ევროკომისიიდან გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, გიორგი ჭიღვარიასათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

42. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში პეტიციის ელექტრონული წესის შემუშავების შესახებ;

43. ქალაქ ქუთისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიასთან ახალგაზრდული საკონსულტაციო საბჭოს შექმნისა და ამ საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ;

44. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

45. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ;

46. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;

47. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 - 2022 წლების ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ;

48. „ქალაქ ქუთაისში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზების სამუშაოთა წარმოების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 14 მაისის №70 დადგენილებაში, ცვლილების შეტანის შესახებ;

49. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

50. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ააიპ „სპეციალური სერვისებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 მარტის N133 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

51. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

52. ა(ა)იპ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების მიერ სამი თვის მანძილზე შესრულებული სამუშაოს ანგარიში და ინფორმაცია 2018 წელს დაგეგმილი ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ.

53. ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ მიმდინარე წელს გაწეული სამუშაოს სამი თვის ანგარიშის განხილვისა და 2018 წელს დაგეგმილი ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ;

54. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

55. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნებას“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

56. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

57. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

58. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ;

59. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ;

60. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ;

61. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურებისა და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ;

62. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ;

63. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

64. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

65. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

66. ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების“ 2017 წლიდან დღემდე გაწეული სამუშაოს ანგარიში, ინფორმაცია 2018 წელს დაგეგმილი ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ;

67. ა(ა)იპ „ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის“ 2017 წლიდან დღემდე გაწეული სამუშაოს ანგარიში და ინფორმაცია 2018 წელს დაგეგმილი ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ;

68. ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ 2017 წლიდან დღემდე გაწეული სამუშაოს ანგარიში და ინფორმაცია 2018 წელს დაგეგმილი ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ;

69. ქალაქ ქუთაისში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზების სამუშაოთა წარმოების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

70. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

71. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

72. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამხედრო სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;

73. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

74. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მარტის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

75. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკისათვის" უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

76. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

77. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ";

78. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

79. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), მოქალაქე ნანა გუმბერიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

80. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), მოქალაქე გივი ჯანგიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

81. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

82. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მარტის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

83. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N52-ში (ნაკვეთი N3) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

84. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N19-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

85. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯეოსელისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

86. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შევარდენისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

87. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დახმარების ეროვნული ფონდისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

88. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

89. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში მიმდინარე და გაწეული სამუშაოს შესახებ;

90. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „პარკინგსერვისის“ ანგარიში, მიმდინარე და გაწეული სამუშაოს შესახებ;

91. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

92. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

93. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 25 ნოემბრის №254 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

94. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №69 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე;

95. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

96. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკისათვის“ უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

97. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), მოქალაქე კირილე ნაცვლიშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

98. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაგთიკომისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

99. ქალაქ ქუთაისის მერის 2008 წლის 29 იანვრის №119 ბრძანების საფუძველზე 2008 წლის 27 თებერვალს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გაფორმებულ N93 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

**იურიდიულ საკითხთა კომისიის შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტებია** თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა აქტიურად ჩართვის უზრუნველსაყოფად, მოსახლეობის მიერ საკუთარი პრობლემების გადაწყვეტისათვის მუნიციპალიტეტისადმი ელექტრონულად მომართვის, პეტიციის ელექტრონული წესით წარდგენის წესის შემუშავება, ძირითადი პრობლემატური საკითხების შესწავლა შემდგომი რეაგირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს სხდომაზე საკითხების დაყენების გზით.

**შენიშვნა:** წინამდებარე ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-11 სხდომაზე წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალაიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ვლასი გარდაფხაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია